# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 702

„20“ დეკემბერი 2024 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას IV ქუჩისთვის, IV ჩიხისთვის და უსახელო ჩიხისთვის სამხედრო-საჰაერო ძალების მფრინავის ალბერტ ბალხამიშვილის სახელის მინიჭების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას IV ჩიხს და მასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს სამხედრო-საჰაერო ძალების მფრინავის ალბერტ ბალხამიშვილის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას IV ქუჩას მიენიჭოს ალბერტ ბალხამიშვილის I გასასვლელის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

3. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე


X:494947 Y:4614857
X:494911 Y:4614804
X:494842 Y:4614757
I ჩიხი
X:494824 Y:4614754
X:494918 Y:4614725
ალბერტ ბალხამიშვილის ქ.
X:494843 Y:4614385


X:494791 Y:4614934
X:494776 Y:4614923
X:494740 Y:4614773
ალბერტ ბალხამიშვილის I გას
X:494912 Y:4614735
X:494766 Y:4614677
X:494766 Y:4614658
X:494773 Y:4614649
X:494864 Y:4614644
X:494855 Y:4614639
N
1:2,000